



# ეწყემსი

№ 8

№ 8

1883—1906 წ.

30 აპრილი.

## საჟურნალდო სპარტოველო სამღვდლომისი.

მოუტოლოობის გამო მარტო დღეს გადავალე თვლი «Черковныя Вѣдомости»-ს ამ წლის ზოგიერთ ნომრებს და მთლად სახტად დავრჩი, როდესაც ვაიციანი ხსენებული ჟურნალის მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული წერილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ვითომდა ქართველი სოფლის მღვდელი სწერს: „საქიროა ნამდვილად დღეს ჩვენთვის ავტოკეფალია, სასარგებლოა იგი, თუ ეს კითხვა ხელოვნურადაა წამოყენებული არეულობის წყალობით? ნუ თუ რუსებს სჯერათ, რომ ავტოკეფალია სურთ ქართველ მღვდლებსა და ერს? დავიჯერო უწმიდესი სინოდი მიატყებს ყურადღებას საქართველოს სამღვდლოების ამ მოგონილ და არა ნამდვილ სურვილს? თუ მართლა დაიჯერა და ამით საქართველოს ეკლესია ჩააყენა უბედურსა და მწარე გარემოებაში, სინოდი პასუხს არ აგებს ამაზე მსოფლიო მკვლელების სამსჯავროს წინაშე?..“

„ზომიერების მიმდევარ ქართველ მღვდლებს არ გვესაქიროება არაერთი ავტოკეფალია... ჩვენ მუდამ-დღე ვლოცულობთ ეკლესიათა ერთობისათვის და არა განყოფისათვის. ქრისტიანობა უმაღლესია, ვიდრე ეროვნული ვიწრო ფარგალი, ქრისტიანობისათვის „არა არს ურიაება, არცა წარმარება; არა არს მოწინა... ყველანი ერთ-ვართ ქრისტე იესოს მიერ (გადატ. 3, 28). ჩვენ ღრმად გვწამს, რომ აღსრულდება მაცხოვრის სიტყვები: „და იყენენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“...“

ამ გვარად, მოყვანილი წერილის ავქოხნს რომ დაუჯეროთ, გამოდის, რომ კითხვა საქართველოს

ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ წამოყენები ქართველი სამღვდლოების სულ მცირედ ჯგუფს წინააღმდეგ ამავე სამღვდლოების დიდი უმეტესობის იმ შეგნებულ და ბეჯითი რწმენისა, რომ სამშობლო ეკლესიის განთავისუფლება ან ავტოკეფალია არამც-თუ არაფრის მაქნისია, პირიქით დამლუბავი, უბედურობის მომასწავებელი საქმეა და, რასაკვირველია, ამის გამო სამღვდლოება არც ყოფილა და არც დღეს არის მისი მომხრე. აქვენთითონ ბძანეთ, რა უნდა იფიქროს ამ წერილის შემდეგ უწმიდესმა სინოდმა ჩემს ნამუსსა და პატარსებაზე, როდესაც სიტყვით და წერილობით თხრობებში მას,—სინოდს, რომ ავტოკეფალიას თხოვლობს საქართველოს სამღვდლოება, ესაა შეურყვეველი რწმენა სამღვდლოებისა, ვერა-გვარი ქვეყნიური ძალა ვერ ამოფხვრის ამ რწმენას სამღვდლოების გონებიდან, არა-გვარ კომპრომისებზე არ ვასცვლის იგი ამ რწმენას და, თუ საჭირო იქნება, არც არავითარ მსხვერპლს არ დაერიდება-მეთქი ამ გულითადი საწადელის განხორციელებისათვის და სხვა!.. ბძანებთ—არც უნდა გელაპარაკეთ მიგვეგონათ, რადგანაც აღუწვილი არ იყავით სამღვდლოების ვექილობითო! დიად; სამღვდლოების არ დაუვილებია და არც მოუნდვია ჩემთვის მისი სახელით დაცვა ავტოკეფალიისა სინოდის წინაშე, მაგრამ განა საჭირო-და იყო კიდევ ჩემთვის რაიმე ვექილობა სამღვდლოების მხრივ შემდეგ იმ ცრკელი, დასაბუთებული და მედგარი პეტციებისა, რომლებითაც სამღვდლოებამ მიმართა სინოდს შარშან? პირველად ამ საგნის შესახებ ვაიგზანა 1905 წელს მარტში იმერეთის სამღვდლოების პეტცია, მას ვაჰყვა თან პარიღში გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოებისა და, ბოლოს, ნოემბერში, ქართ-









და კანონებსაც თვითონ ხალხის წარმომადგენლები გამოსცემენ. ხელმწიფე მხოლოდ სისრულეში მოიკვანს პარლამენტის გარდაწყვეტილებას. სახელმწიფო სათათბიროს არავითარი შედარება არა აქვს კონსტიტუციურ ხალხის მართვა-გამგეობასთან. იქ სადაც კონსტიტუცია არსებობს ხელმწიფის უფლება განსაზღვრულია, ჩვენში კი ხელმწიფის უფლება განსაზღვრულია და იგი თვითმპყრობელია. ხელმწიფის ნება დაღუთველად არავითარი კანონის გამოცემა არ შეიძლება. ძირითადი კანონების მოშლასა და გაუქმებაზედაც ხალხის წარმომადგენლებს რამდენიც სურსთ შეუძლიან ითათბირონ და იფიქრონ, მაგრამ ხელმწიფის ნება დაღუთველად კინიტსაც ვერ დასძვრენ მათს მოშლასა და გაუქმებაზე.

ამ ორი წლის განმავლობაში ხალხის დიდის ბრძოლის შედეგად მიჩნიათ ჩვენ მწერლებს სახელმწიფო სათათბიროს დაარსება და დიდ ნაყოფსაც გამოვიღიან. სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს წევრებისაგან მოვიღიან დიდ თავგამებულ ბრძოლას ხალხის ინტერესების დასაცველად და ზოგიერთები იმასაც კი მოვიღიან, რომ მცირეს ხანში სათათბირო შეიქმნება ხალხისთვის ეგროპის სახელმწიფოების პარლამენტად და კანონმდებელ დაწესებულებად. მაგრამ ესეთი აზრი რუსეთის ხალხისაგან არჩეულ წევრებზე მეტად გავხვიადებულია და მეტის მეტად გატაცებული უნდა იყოს კაცო ვინც ასე ფიქრობს სათათბიროს წევრებზე... ათი წლის დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ საფრანგეთის ხალხმა, ისიც ჯარების დახმარებით, რესპუბლიკანური მმართველობა დაიარსა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა პოლკოვნიკმა მოსპო რესპუბლიკა და თავის-თავი გამოაცხადა იმპერატორად!.. მერმე სად მოხდა ეს? საფრანგეთში...

დღეს სხვა დროაო, იტყვიან. მართალია, დღეს სხვა დროა, მაგრამ ხალხს არ შეუძლია დღეს-დღეობით ძალით რამეს გახდეს და ნებაყოფლობით თუ რამე იქნება ამას მოცდა უნდა. ბ. გამართლის აზრით ერთ თვეში ყველაფერი უნდა გათავებულიყო და თვითონ ბელადობასაც პირდებოდა გლეხებს, მაგრამ წინააღმდეგობის და ბელადობის მაგიერ, როცა ხალხს მიესივნ, იგი სადაცა ვადიქარწყლა და სადა-არ იციან. რუსეთის სახელმწიფო საფრანგეთის, სერბიის და სხვა პატარა სახელმწიფოებს არ ვაგს. ანხელი უზარმაზარი სახელმწიფოში მთავრობა-მაც, რომ მოინდომოს მინც ვერ მოიყვანს სის-

რულეში დიდ რეფორმებს. წარმოიდგინეთ, პეტერბურღში სათათბირო უკვე გაიხსნა და ჩვენში წვერებიც კი ვერ აურჩევიათ!..

ღმერთმან ქმნას, რომ ჩვენი სახელმწიფოს სათათბიროს და საბჭოს წევრებს გამოეჩინოსთ ენერგია ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვაში და სათათბირო შეეცვალოსთ პარლამენტად და კანონმდებელ საკრებულოდ, მინისტრების არჩევის უფლებაც ამ არჩეულებს მოეპოვებინოსთ, მაგრამ სანამ ეს ყველა არ ასრულდება და სანამ ჩვენის თვალთ არ ვიხილავთ, არ შევიძლია ვისგანმე დავრწმუნდეთ. გვრწამს, რომ ეს მცირე დაწყებულება ბოლოს დიდს სასურველ დაწესებულებად გარდაიქცევა, მაგრამ მეტი ღონე არ არის უნდა ვიქონიოთ მოთმინება და წინ დახედულობა, ყოველივე გამოვსცადოთ რომ უკეთესი შევიძინოთ. უნდა თავი დავანებოთ ისეთ მოთხოვნილებათა, რომელთაც ბ. გ.—ელი გვიჩვენებ, როგორც, მაგალითებს, საკუთრების მოსპობას ჭკოლების გასაზოგადოებას!.. ამ მოთხოვნილებათა აღსრულება მთელს დედა მიწაზე არც ერთ განათლებულ და გაუნადლებელ ხალხს შესაძლოდ ვერ დაუნახავს ჭ ვერ განუხორციელებია. ჩვენი სახელმწიფო დიდათ ჩამორჩენილია სხვა სახელმწიფოებზე განათლებით და ყველაფრით. ამისთანა ჩამორჩენილი ხალხისგან მოთხოვა იმის რაც სხვაგან არ ასრულებულია მეტიჩრობაა, თავის მოტყუება და ზავშობა...

დკმ. ღ. დამაშაძე.



**მწარე ფიქრები.**

საწყალი ვიტტე და ღურნოვო! შეშინებულიან და გაქცეულან, მაგრამ სად წაუვა „ლაშკრის“ მწერლებს? სამართალში აძლევენ, მაგრამ თუ ამას დააჯერეს კიდევ დიდი მოწყალეობა იქნება!.. ნეტავი თუ მოიძებნება ვინმე ისეთი, რომ ერწმუნოს ამისთანა მწერლებს რასაც ესენი იქადაიან და რასაც თავის გამოგონილს მოუთხრობენ მათ? დიად, მრაველი მკითხველები ჰყავს „ლაშკარს“ რომელთაც ნამდვილად სწამთ ვიტტეს და ღურნოვოს შეშინება და გაქცევა დასაძალიად! დიად, პატარა ზავშებს





ვერ დააჯერებთ, რომ იგინი როცა ჯოხზე ზიან და დარბიან ნამდვილ ცხენებზე არ ისხდნენ!.. გავიგონათ შემწინებელი კაცი, რომ დასამალავად გარბოდეს და მას კიდევ ორისი ათასი მანეთი აჩუქონ? ასე სტყუვდებიან ხოლმე ჩვენი ექსარხოსების შესახებაც, როცა იგინი აქედან გადაყავსთ, ვითომ მათდა უნებურად. რუსეთში კი მიტროპოლიტობას მისცემენ ხოლმე იმ სამსახურისათვის რასაც იგინი აქ ჩაიღიან!..

ესლა ხმები გავრცელდა, რომ დიდი მოწყალეების მინიჭება სურს თურმე სინოდს საქართველოს სამღვდლოებისა და საზოგადოებისათვის. ამბობენ, რომ ექსარხოსად ქართველ მღვდელთმთავარს დანიშნენო. ზოგიერთები აღტაცებით ისმენენ ამ ხმას და ამბობენ, რომ სწორეთ დიდი მოწყალეობა მიენიჭება საქართველოსო! მე, რომ მკითხოს კაცმა, ეს არავითარი მოწყალეობა არ იქნება, მოწყალეობა კი არა უარესობა იქნება! ვინ იტყვის, რომ ქართველი ეპისკოპოსი უფრო სასარგებლო არ იქნება უცხო კაცზე, მაგრამ განა ყველა ქართველი ეპისკოპოსი იქნება უკეთესი უცხოზე. აიღეთ, მაგალითებრ ეპისკოპოსი გენნადი და დიმიტრი. გენნადი იყო რუსი და დიმიტრი ქართველი. გენნადი როგორც მამა ისე შეიყვარა სამწყსომ, ისიც აფხაზებმა და დიმიტრი კი იძულებული შეიქნა თავის სამწყსოსაგან გაპარულიყო..


ჩვენ ვფიქრობთ, რომ ექსარხოსი დღეს სრულეობით საქირა აღარ არის და თუ ქართველებს ავტოკეფალიას არ მიანიჭებენ, ან თვითონ საქართველო ვერ აღადგენს მას, ექსარხოსი რა საქირაოა? ქართველი მღვდელთმთავრები თუ სურსთ უექსარხოსოდ მაშინ იგინი დაუმოკიონ სინოდს ისე, როგორც მთელი იმპერიის ეკლესიები და სამღვდლოები არიან დამოკიდებულნი. მორჩა და გათავდა! თორემ რა მაქნისია ეპისკოპოსი, რომელსაც მღვდლად კურთხევის ნება არ ექნება და ერთი რომელიმე სემინარიის რექტორი მისი ბრძანებელი იქნება? კაცის მოტყუილება შეიძლება, მაგრამ ღვთისა და სახარებისა—არასოდეს.

\* \*

ერთმა შეგნებულმა მღვდელმა მითხრა ამას წინეთ: «საქმე არაფერი მაქვს, ძილი მკლავს. მთავრობა, რომ განკარგულებას მოახდენდეს და ორსამი შტატის მრევლს ერთ შტატად გახდიდეს მაშინ

საქმეც შექნება და საზოგადოებასაც ძვირად არ დაუჯდება მღვდლის რჩენა». დიად, ძილი გკლავსთ, უთხარი მე, მიტომ რომ თავის მღვდლობის მოვალეობას არ ასრულებ. თქვენ გგონიათ, რომ სოფელში თუ ჩამოიარეთ, ცხენები აკურთხეთ ხოლმე და მიირთვით თავის მოვალეობა ასრულებულად მიგაჩნიათ. თქვენ სრულეობით არ აქცევთ ყურადღებას ერთ უმთავრეს მღვდლის მოვალეობას—ხალხის დამოძღვრას, სამწყსოს სწავლებას. მღვდელს განა თავისუფალი დრო უქნება, რომ სამწყსოს უქადაგებდეს დროით და უდროვოდ და ყოველივე ღონეს ხმარობდეს ქეშმარიტ-გაზე დააყენოს თავისი სულიერნი შვილნი? მოძღვარი, რომ დადიოდეს თავის სამრევლოში და ნიდაგ უქადაგებდეს მას და ასწავლიდეს განა კიდევ მოეწყინება და ძილი მოკლავს მას? განა რიგიანად დამწყსილია ესლანდელი სამრევლოები? თუ თითო მრევლი ვერ დაუმწყსია მღვდელს განა ორი-სამი მრევლის დამწყსვას შეიძლება იგი? ყველა საქმელზე ფიქრობს, მაგრამ მარტო საქმელზე ფიქრობა საქმეს ვერ დაეხმარება..

სოფლას ხუცესი.



### ძირითად კანონების პროექტი

სატახტო ქალაქის განუთებში დაბეჭდილია პროექტი რუსეთის იმპერიის ძირითად კანონებისა, რომელიც ვიტტე-დურნოვოს მთავრობას შეუდგენია და შემდეგ მინისტრთა საბჭოს შეუსწორებია. მოგვყავს უმთავრესი მუხლები ამ პროექტიდან:

1. რუსეთის იმპერია ერთიანია და განუყოფელი; 2. ფინლიანდია რუსეთის განუყოფელს ნაწილს შეადგენს; მაგრამ შინაურ საქმეების მოსაწყობად იქ განსაკუთრებითი საკანონმდებლო საერო მმართველობა; 3. რუსული ენა სახელმწიფოს ენათა და იგი სავალდებულოა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ზღვისა და ხმელეთის ჯარში, ადგილობრივ ენათა ხმარება განისაზღვრება განსაკუთრებითი კანონებით.

შემდეგ პროექტი განიყოფება ხუთ თავად. თავი I. უზენაეს თვითპყრობელ მფლობის თაობაზე, თავი II ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი





რუსეთის ქვეშევრდომთა. თავი III კანონებზე. თავი IV სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროზე და მათს მოქმედებათა გარემოებაზე და თავი V მინსტრთა საბჭოზე.

პირველს თავში ვკითხულობთ:

4. „რუსეთის იმპერატორს ეკუთვნის უზენაესი თვითპყრობელობითი მეფობა მორჩილებას იმის მეფობისადმი არა მარტო შიშის გამო, არამედ აგრეთვე სინდისის წინაშე თვით ღმერთიც ბრძანებს; 5. პიროვნება ხელმწიფე იმპერატორისა ნაკურთხია და ხელშეუხებელი; 6. ასეთივე უზენაესი თვითპყრობელობითი მეფობა ეკუთვნის დედოფალს იმპერატორისა, როდესაც ტახტის მემკვიდრეობა ერგება ქალს, თანახმად დიდგენილის წესრიგისა. ხოლო მეუღლე მისი არ ჩაირიცხება ხელმწიფედ, მას მიენიჭება მხოლოდ პატივი და უპირატესობანი ისე, როგორც ხელმწიფის მეუღლეს, გარდა ტიტულისა; 7. ხელმწიფე იმპერატორი განახორციელებს რუსეთის იმპერიაში საკანონმდებლო უფლებას სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროსთან ერთად; 8. ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის უფლება ყოველ საკანონმდებლო საკითხის აღძვრისა (ინიციატივა); 9. ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის უფლება კანონთა დამტკიცებისა და მის დაუმტკიცებლად არც ერთს კანონს არ ექნება საბოქმედო ძალა; 10 უფლება მართვა-გამგეობისა, მთელის თავის სივრცით. რუსეთის იმპერიის საზღვრებში ყველგან ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის. უზენაეს მმართველობის საქმეში უფლება ხელმწიფისა პირდაპირ (უშუამავლოდ) ჰმოქმედებს, ხოლო სახელქვეითო მართვა-გამგეობაში, თანახმად კანონისა, განსაზღვრულ ხარისხის უფლება ჩაპარდება ხელმწიფისაგან სათანადო დაწესებულებებს და პირებს, რომელნიც იმოქმედებენ იმის სახელით და თანახმად მისის ბრძანებისა; 11. ხელმწიფე იმპერატორი უზენაეს მართვა-გამგეობის წესრიგით, კანონთა მიხედვით გამოცემს განკარგულებებს (უქაზებს) და ბრძანებებს, რომელიც საჭირო იქნება კანონთა ასასრულებლად, სახელმწიფო მართვა-გამგეობის სხვა და სხვა ნაწილის მოსაწყობად, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ უშიშროების და წესიერების დსაცველად, აგრეთვე ხალხის კეთილდღეობის უზრუნველ-საყოფელად. განკარგულებანი, უზენაეს მართვა-გამგეობის წესრიგზე გამოცემულნი, გამოქვეყნებულ უნდა

იქნენ სენატის მიერ. (შინაგან საქმეთა მინისტრის აზრით, ამ მუხლში შეტანილ არ უნდა იქნას სიტყვები: „კანონთა მიხედვით“); 12. ხელმწიფე იმპერატორი უზენაესი ხელმძღვანელია რუსეთის უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობისა. იმას ეკუთვნის რუსეთის იმპერიის საერთაშორისო პოლიტიკის უმაღლესი მიმართულება. ხელმწიფე იმპერატორი აცხადებს ომს ჰკრავს ზავს და აგრეთვე ხელშეკრულებებს უცხო სახელმწიფოებთან; 13. ხელმწიფე იმპერატორი რუსეთის არმიის და ფლოტის უმაღლესი წინამძღოლია. იმას ეკუთვნის უზენაესი უმჯობობა ხმელეთის და ზღვის შეიარაღებულ ძალებისა. იგი განსაზღვრავს არმიის და ფლოტის მოწყობილებას, გამოცემს ბრძანებებს ჯარის გადაყვან-გადმოყვანის შესახებ, აყენებს მათ საომარ ფეხზე, განსაზღვრავს სამხედრო ხელოვნებაში გაწვრთნის საქმეს და სამსახურის აღსრულებას არმიის და ფლოტის მოხელეთაგან. ხელმწიფე იმპერატორი შეზღუდავს ბინადრობის და უძრავ ქონებათა შეძენის უფლებას იმ ადგილებში, რომელნიც ციხის რაიონებს წარმოადგენენ და არმიის და ფლოტის მოქმედებისთვის იქნებიან დანიშნულნი; 14. ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის ფულის მოჭრის უფლება და დაწესება იმის გარეგანის სახისა; 15. (უმრავლესობის აზრით) ხელმწიფე იმპერატორი, ჰნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მინისტრებს და საგანგებო ნაწილების მთავარ მმართველებს, აგრეთვე სხვა მოხელე პირებს, თუ უკანასკნელთა შესახებ განსაკუთრებული წესი არ არსებობს დასანიშნავად. იმის მეფობა ეკუთვნის უფლება ყველა თანამდებობის პირის დათხოვნისა სახელმწიფო სამსახურადან; მისი უფლება განსაზღვროს რაოდენობა ჯამაგირისა და დანიშნოს რაოდენობა პენსიისა იმ თანამდებობის პირთათვის, რომელთათვისაც ჯამაგირი და პენსია კანონით არ არის დაწესებული, აგრეთვე—უწყალობოს მოხელეებს გაძლიერებული ჯამაგირები და დაუნიშოს გაძლიერებული პენსია და დახმარება (პოსობიე) მოხელეებს და მათს ოჯახობას; 16. ხელმწიფე იმპერატორი უბოძებს ტიტულებს, ორდენებს და სხვა სახელმწიფოებრივ და წოდებრივ საჩუქრებს (ოტლიჩიებს); 17. ხელმწიფე იმპერატორი განსაზღვრავს თავის უფლებების სივრცეს და თვისებებს იმ მამულების შესახებ, რომლებიც მას ეკუთვნის, აგრეთვე საუფლისწულო და ნის უდიდებულესობის



კაბინეთის უწყებაში მყოფ მამულების შესახებ; განსაზღვრავს აგრეთვე საიმპერატორო კარის და ამ კართან არსებულ დაწესებულების და საუფლისწულო უწყების მოწყობას და გამგეობის წესრიგს; 18-ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის უფლება, გამოაცხადოს რუსეთის იმპერიის ამა თუ იმ ადგილში საომარ დროის ან განსაკუთრებულ დაცვის წესები; 19. სამრთალო სწარმოებს ხელმწიფე იმპერატორის სახელით კანონებით დაწესებულ სასამართლოების მიერ; 20. ხელმწიფე იმპერატორს უფლება აქვს მოიღოს წყალობა და აზხადოს სასჯელი გასამართლებულებს, შეუმციროს სასჯელი და საყოველთაოდ გაანთავისუფლოს სამართალისა და სასჯელისაგან ყველა ბოროტმოქმედების ჩამდენი, აგრეთვე გაანთავისუფლოს სახელმწიფო გადასახადებისაგან.

მეორე თავი, რუსეთის მოქალაქეთა ძირითად უფლებების შესახებ, სხვათა შორის, შეიცავს შემდეგს დადგენილებებს: არავინ არ შეიძლება დევნილ იქმნას ბოროტ-მოქმედებისთვის სხვაფრივ, თუ არ კანონით დაწესებულ წესზე; არავინ არ შეიძლება შეპყრობილ იქმნას გარდა იმ შემთხვევებისა, რომელნიც განსაზღვრულ არიან კანონით. არავინ არ შეიძლება გასამართლებულ და დასჯილ იქმნას, თუ არ კანონებში აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებისთვის. ბინა ხელ-შეუხებელია. რუსეთის ყველა ქვეშევრდომს თავისუფლად შეუძლიან აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი და ხელობა; შეიძინოს და გაჰყიდოს ქონება; დაუბრკოლებლივ გასცილდეს ხოლმე სახელმწიფოს საზღვრებს. ამ უფლებათა შეზღუდვა განსაკუთრებულის კანონებით ჰხდება. კერძო საკუთრება—ხელშეუხებელია. რუსეთის ქვეშევრდომთ უფლება აქვთ გამართონ კრებები, მაგრამ ისეთის მიზნით, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება, მშვიდ და უიარაღოდ. კანონი აღნიშნავს, რა პირობებით უნდა იმართებოდეს კრებები, როდის არის სავალდებულო მათი დასტურვა და სად შეიძლება იმართონ გამართვა. კანონით აღნიშნულ ფარგლებში ყველას შეუძლიან გამოისთქვას სიტყვიერად თავისი აზრი და გაავრცელოს იგი ბეჭდვის და სხვა საშუალებებით. რუსეთის ქვეშევრდომებს შეუძლიანთ დააარსონ კავშირები კანონის არა საწინააღმდეგო მიზნით. კანონი განმარტავს კავშირთა დაარსების და მოქმედების წესებს. რუსეთის მოქალაქეებს მინიჭებული აქვთ სარწმუნოებრივი თავისუფლება.

მეოთხე თავში—სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია: სახელმწიფო სათათბირო შეიძლება დათხოვნილ იქმნას ხელმწიფე იმპერატორის განკარგულებით, თუნდ ჯერ რწმუნების ვადა არ იყოს გასული. იმავე განკარგულებით, რომლითაც სათათბირო დაითხოვება, დანიშნულ უნდა იქმნას ახალი არჩევნები სათათბიროს წევრებისა და დრო მოწვევისა. სახელმწიფო საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს უფლება აქვს აღძროს საკითხი შესხებ არსებულ კანონების შეცვლის ან გაუქმებისა, ან ახლის კანონების გამოცემისა, გარდა ძირითად კანონებისა, რომელთა გადაშინჯვის უფლებაც მხოლოდ იმპერატორს ეკუთვნის. სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს არ შეიძლება გამოტოვებულ და შეცვლილ იქმნას ის შემოსავალი და გასავალი, რომელიც შეტანილ იქმნება ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში მოქმედ კანონების, დებულების, შტატების, განაწილებების და აგრეთვე უზენაეს მართვა-გამგეობის წესზე გამოცემულ უმაღლეს ბრძანებების ძალით. თუ წლის დასაწყისისას ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი დამტკიცებულ არ იქნა, ძალაში რჩება უკანასკნელად კანონიერ წესით დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა იმ ცვლილებებით, რომელთა შეტანაც აუცილებელია ახლის კანონების მიხედვით.

## რუსეთის პრესისა და საქართველოს აკლამა

საქართველოს უმაღალითო აკლამამ და უფრო კი ქალების მხეცურმა გაუბატურებამ დიდი მითქმამოთქმამ გამოიწვია მთელი რუსეთის პრესაში, მართალია, არც მკვიდრს რუსებს ინდობდნენ „დამშვიდების“ დროს, მაგრამ ისიც ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი სასსსტიკე და აღვირახსნილი თავგასულობა არსად გამოუჩენია, როგორც გამოიჩინა საქართველოში. ავიღოთ მაგალითად, მოსკოვის აჯანყება და საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობა. ცხადია, რომ მოსკოველ ქალებსა და უღანაშუალო მცხოვრებთ ჯარი უფრო სასტიკად უნდა მოჰქცეოდა, ვიდრე ქართველებს, მაგრამ მოსკოვში არავინ გაუბატურებიათ და არც ისეთი





გაურჩევლობა და სისასტიკე გამოუჩენიათ, როგორც ჩვენში. ქალების წმინდათა წმინდის ასეთმა უმაგალითო შელახვამ რუსეთის პრესსა ალაპარაკა და, მიუხედავად იმისა, რომ არც შუა რუსეთს აკლია სლაპარაკო მასალა, ცხარე პროტესტი გამოაცხადებინა.

გაზეთ „სოვრემენიკ“-ის უკანასკნელ ნომერში სამ წერილს ვპოულობთ ამ საგანზე. ორი წერილი ეკუთვნის რედაქციას. მესამე რეზოლიუციითა ქალთა თანასწორობის სრილიად რუსეთის განმარტისა, რომლის ცენტრალურმა კომიტეტმა კანონილია ავარებელი მაგალითი ქართველ და სომეხ (განჯის გუბერ.) ქალთა გაუბატურებისა და შესაფერი რეზოლიუციით მიიღო. რედაქცია „სოვრემ.“-ისა ამ რეზოლიუციას ასეთ მოკლე წინასიტყვაობას უძღვნის:

„სრულიად რუსეთის ქალთა თანასწორობის კავშირმა ღრმად იგრძნო მეოცე საუკუნის „ოპრიჩნიკების“ მიერ დატანჯულ და გაუბატურებულ დედაკაცებისა და ბავშვების კვნესა და „სოვრემ.“-ის რედაქციის გამოუგზავნა ცხარე პროტესტი წინააღმდეგ იმ ფიზიკურ და ზნეობრივ შელახვა-შეურაცყოფისა, რომელსაც რუსეთის ჯარი აყენებს კავკასიელ ქალებს, ბავშვებსა და დედაკაცებსა.“

აი თვითონ რეზოლიუციაც:\*)

„რუსეთის ადმინისტრაციის სამარცხვინო ისტორიის მიუმატა ახალი, სისხლით შეღებული ფურცელი. პრესსა არ დაერიდა ათას გვარ დაბრკოლებას და გაბედულად აზხადა ის ფარდა, რომლის უკან იმალებოდა... გამეფებული ტერრორი. გაზეთები დაწვრილებით გვიხატავენ რუსეთის დამსჯელ რაზმების საგმირო საქმეების შემადარწუნებელ სურათს. მთელი სოფლები იღუპება ცეცხლის ალში. გაცარკული ხალხი მირბის მთებში და იქ ექებს თავის ხსნას... მოიკვა საშინელმა წყვლიაღმა; საშინელი ამბები ხდება უფრო... სადაც გამეფებულა... მოიგონეთ განთქმული ბრძანება: „საძირკვლიანად დავანგრევ იმ სოფელს, სადაც ერთი იარაღი მინც აღმოჩნდება“...“

\*) სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელ და ყველასაგან ცნობილ მიზეზებისა გამო ამ რეზოლიუციას საესებით ვერა ვებუდავთ. მკითხველს შეუძლია იგი ნახოს „სოვრემენიკის“ მე-23 ნომერში.

„ერთი ქართველი გვეკითხება ჩვენ, რუს ქალებს: „ნუ თუ თქვენ, რუსი ქალები გულ-გრილად მოისმენთ ამ ანბავს? ნუ თუ არ წაესარჩლებით თქვენ დებს? ნუ თუ გულ-გრილად შეგიძლიანთ იკითხოთ ავარებელი მაგალითი მცირე-წლოვან ბავშვების გაუბატურებისაო?“

ჩვენ ვუპასუხებთ: არა, ჩვენ გულ-გრილად არ ვისმენთ მაგ ამბებს, ჩვენ აღუშფოთებ ლად ვერ მოვისმენთ ჩვენის დების კვნესას. ჩვენ ვიტანჯვებით და ვწუხვართ იმის გამო, რომ მარტო ვართ შემე მაყურებლები ვართ მაგ საშინელ სიმეცესა და ძალა არა გვაქვს მოვხაოთ იგი. საკამოა ის ფაქტი, რომ... სამი თვის განმავლობაში იკლებენ, ხოლო დამნაშავენი არა თუ ბრალდებულის სკამზე არ სხედან, არამედ საჩუქრებს და ჯილდოებსაც იღებენ—მარტო ეს ფაქტიც ცხადად ამტკიცებს, რომ... აკლება მოხდა ერთ მთლიან და წინდაწინვე შემუშავებულ სისტემით, რომელიც ნებადართულ და მოწონებულ იქნა უმაღლეს მთავრობის მიერ. ცხადია, რომ მიმართვა სასამართლოსა და კანონისადმი უნაყოფაა. მაგრამ ჩვენ, რუს ქალებს მინც არ შეგიძლიან გაჩუმება. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლოს პატიოსნება, მაგრამ ამავე დროს უნდა აღვნიშნათ ის ხრახი, რომელიც ერთმანეთს აშორებს რუსეთსა და იმის მთავრობას. დაე იკოდენ ჩვენმა დებმა ქართველებმა და სომეხებმა, რომ ჩვენ გულწრფელათ თანაუგრძნობთ მათ დარდას და ტანჯვას, ჩვენ უძლიერნი ვართ წაესარჩლოთ ჩვენ მიემართავთ მთელ განათლებულ ქვეყნიერებას და კაცობრიობას და ვთხოვთ ყელას, ვისაც ჯერ არ ჩაპკობია სამართლიანობისა და პატიოსნების გრძნობა, შემოუერთდეს ჩვენ პროტესტს. **სრულიად რუსეთის ქალთა კავშირი**“

„სოვრემ.“-ის შემდეგ მეთაურ წერილს უძღვნის საქართველოს აკლებზე (სამწუხაროდ, ვერც ამ წერილის ვებუდავთ საესებით): „გამანთავისუფლებელ მოძრაობის გზა დაფენილია თავისუფლებით თვის მებრძოლთა ძელებით. იდეურ ექსტრემის დროს, ბევრი ჩვენგანი მზად არის სიკვდილით წამება მიიღოს თავის რწმენისა და ძმობისა, ერთობისა და თანასწორობისათვის. ვინც შეგნებულად მოკვდა, მას მუდმივი სახელი დარჩება თავისუფლებისთვის წამებულისა. მაგრამ რით უნდა აიხსნას და რით

რედ.



უნდა გამართლდეს უღანაშაულო ბავშვებისა, ქალოებისა და დედაკაცების უმოწყალოდ ხოცვა-ჟლეტა? საზარელი ამბები მოდის კავკასიიდან... ამ საშინელ ანბებს შეუძლიან ადამიანი ქკუიდან შეშალოს და თავგანწირულებადმის მიიყვანოს. 1876--1877 წლებში რუსეთს აღშფოთების ყვირილი აღმოსდა გულიდან იმის გამო, რომ ოსმალები ბოღარიში სწორედ ისე იქცეოდნენ, როგორც ეხლა... ჩვენ გვინდა გვიგოთ, სად არის მაშინდელი რუსეთი? თუ ცოცხალია, რატომ არ აღველდება, რატომ პროტესტს არ აცხადებს, რატომ არ აღშფოთდება? სად არიან ჩვენი მყვირალი პარტიები, რომელნიც ბევრს გაიძახიან მოქალაქისა და ადამიანის უფლების შეახებ? ან იქნება „კურთხეული ქვეყანა“ (საქართველო) ბედის წერას უნდა მიუვლოდ და ვაგრძნობინოთ, რომ რუსები მათი ძმები არ არიან? ასეთი გულგრილობა კავკასიისადმი ბორტ-მოქმედება იქნება. ჩვენ არ გვჯერა ეს გულგრილობა. ჩვენ ვვლით“...

მეორე მეთაურ წერილში რედაქცია ამბობს: „რუსეთის ხალხი შეურაცყოფას მიეწვია. მთელი მისი ისტორია წარმოადგენს პიროვნებისა და ცხოვრების შეურაცყოფას. განა შესაძლებელია, რომ რუსეთისა და იქნება ოსმალეთის გარდა სხვააგან სადმე ხდებოდეს ის, რაც ყოველ დღე ხდება რუსეთში? მარტოდენ უბრალო ეჭვით ასობით აპატიმრებენ, საქმის განურჩევლად ხალხს ხოცავენ, ირგვლივ ყველაფერს სწვავენ და ყველას სძარცვვენ! აუპატიურებენ ბავშვებსა და მოხუც დედაკაცებს თავიანთ მშობლებისა და ქმრების თვალ-წინ, კატორგაში ჰგზავნიან და სამუდამოდ აშორებენ 70—80 წლის მოხუცებს და სახრჩობელაზე ჰგზავნიან ჟურნალისტებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მთავრობის საწინააღმდეგო წერილი დასწერეს.

„ეს საშინელებაა, უბოძო, საზარელი საშინელება!“

„საშიშოა ცხოვრება იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი ამბები ხდება. წიკითხეთ ის რაც ხდება... მერე არ იგრძენით, რომ ძარღვებში სისხლი გაგიწვრდათ, თმა ყალყზე აგიდვათ... ნუ თუ ამ ანბებს სწადიან ჩვენი თანამემამულენი, ძმები, მეზობლები და არა შემოსეული ქურდები და ყიზილბაშები?

საშინელებაა, საშინელება!

განა შეიძლება ასეთ ქვეყანაში ცხოვრება? განა შეიძლება რაიმე საქმის გაცეთება და ღნჯი მუშაობა მაშინ, როცა თქვენ მახლობლათ, აქვე თქვენ გვერდით, ასეთი ამბები ხდება? რუსეთის ხალხი შეუჩვეველია ძალმომრეობას, შეურაცყოფას. მაგრამ უნდა ჰქონდეს თუ არა საზღვარი მოთმინებს! („შრომა“ № 18)

## შურნალ-გაზეთმობიდან.

რუსეთი და საფრანგეთი. „კურიერ ეროპენ“-ში (საფრანგეთის საუკეთესო პუბლიცისტები და მოღვაწენი თანამშრომლობენ) საყურადღებო მეთაური წერილია მოთავსებული. წერილი გამოსტეკვის საფრანგეთის საუკეთესო წარმომადგენლების გულის წყრომას უკანასკნელ სესხის გამო.

„ყველაზე დიდი წილი რუსეთის უკანასკნელ სესხისა საფრანგეთმა იკისრა (მილიარდი და ორასი მილიონი ფრანკი). საფრანგეთის ბანკირებმა, რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით, მისცეს ეს ფული რუსეთს-კი არა, არამედ დროებით მთავრობას, რომლის მდგომარეობა საეჭვოა და რომელსაც უთუოდ დაამოხბს რუსეთის ერი. რომელმა შეცლონა, რომელმა საბედისწერო შემთხვევამ აიძულა საფრანგეთი ჩაედინა ასეთი გაუგებარი, სულმდბაღალ-უსიორცხვილო აქტი?..

ეს მეთორმეტე მილიარდი ჩასწერა საფრანგეთის რესპუბლიკამ თვითმპყრობელობის ვალების დიდ წიგნში... არასოდეს რუსეთი ისეთი ღარიბი არ ყოფილა, როგორც დღეს, არასოდეს არ გასჭირვებია რუსეთს თავის ვალდებულებათა შესრულება ისე, როგორც ეხლა. რომ სახელმწიფო ეხლავე არ გაკოტრებულიყო (რაც საშინელი უბედურება იქნებოდა ისეთ დიდ კრედიტორისათვის, როგორც საფრანგეთი), ახალი კრედიტი უნდა გაეხსნათ რუსეთისათვის. სესხის გაცემა თავის-თავად აუცილებელი შეიქნა... მით უფრო, რომ რუსეთის კეთილსმყოფელი რევოლიუცია ძალასა და გავლენას ხელში აძლევდა ძლიერსა და კარგად მოწყობილ პარტიას (კადეტებს), სადაც თავმოყრილი არაან რუსეთის საუკეთესო შვილები... საქმეთა მიმდინარეობა ისეთი იყო, რომ თითქოს თვითონ რუსეთი





სთხოვდა საფრანგეთს ფულს. მხოლოდ საქირო იყო სამი კვირა მოეცაღნათ.

მაგრამ თვითმპყრობლობას სულ სხვა განზრახვა ჰქონდა: მას ფული თავისუფლებასთან საბრძოლველად ეჭირებოდა. გამოგზავნეს ემისარგები პარიზში. სესხი დიდის ხნით იყო შეშაღებული. მოვიდა კოკოუცევი და რესპუბლიკის სამინისტრო იმდენად სულ-მდაბალი და ბოროტ-მომქმედი შეიქნა, რომ დასთანხმდა სესხს.

სედანისა და მეცის შემდეგ რომელიმე სახელმწიფოს რომ მილოარდები მიეცა ნაბაღეონ მესამისა და ბაზენისათვის და ამით მათ ფეხქვეშ დაეგდო სულთმობრძავე საფრანგეთი, სწორედ ჩვენ ეხლანდელ მთავრობასავით მოიქცეოდა. რას იტყოდა ნაშინ საფრანგეთი?\*

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფასიან ქალაქების შეიდევლები პრავინციის ბურჟუები და ეს ბურჟუაზია კი აძღვეს სესხს „მებრძოლ ხალხს კი არა, არამედ თვითმპყრობლობას; იგი ტაშის კვრით მიეგება სათათბიროს გაუქმებას, როგორც მიეგება მოსკოვში ზარბაზნების გრიალს“.

საყოველთაო საარჩევნო უფლებების წყალობით ეს ბურჟუები უმრავლესობას არ შეადგენენ შინაურ პოლიტიკაში. მაგრამ სამაგიეროდ ისინი შეადგენენ ფინანსიურ უმრავლესობას და ხელმძღვანელობენ გარეშე პოლიტიკას. საქირო იყო დიდი ენერგია ამათთვის წინააღმდეგობის გასაწევად. სამინისტრომ არ გამოიჩინა ეს ენერგია.

მთელ ამ ისტორიაში დიდი როლი ითამაშა რუვიემ... ფაქტიურად სესხის საქმე უკვე გათავებული იყო, როცა ახალი სამინისტრო შედგა: რუვიე რეაქციონერია და განახლებული რუსეთი არ სწამდა. ახალი სამინისტრო შეაშინეს — თუ სესხი არ მოხრჩბდა, რუსეთის მეფის მთავრობა გაკოტრებულიად გამოაცხადებს თავს და იმ ფულებს, ეხლათ რომ სარგებლად აძლევს კრედიტორებს, რევოლიუციასთან ბრძოლას მოანდომებსო. სამინისტრომ მართლა შეშინდა და დემორჩილა რუსეთის რევოლიუციის მტრებს.

„სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წყალობით რუსეთის მთავრობა დამარცხდა — უმრავლესობა მისი წინააღმდეგი აღმოჩნდა. და საფრანგეთის სამინისტროს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა თვით-

მპყრობელობის წარმომადგენელთათვის, რომ მათ უფლებოა არა აქვთ იმოქმედონ ხალხის სახელით. რუსეთს საფრანგეთის კავშირი გამოაცხადდა იმად, რაც იყო — საფრანგეთი თვითმპყრობელობის კავშირად. რუსეთმა ეს იცის ეხლა და როცა ცარიზმის კლანჭებს დაახწვეს თავს, მოიგონებს მას.“

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* „ცერკონი ვედ.“-ს № 13 — 14-ში მოთავსებულია ხელმოწერილი წერილი, რომლის ავტორიც ავტოკეფალიის წინააღმდეგია. რედაქცია ამ ჟურნალისა აცხადებს, რომ ეს წერილი საქართველოს საექსარხოოსოს ქართველ მღვდლისაგან მოუვიდაო. («შრომა»).

რა დიდი საქმეა, რომ საქართველოში აღმოჩნდეს ერთი თუ გინდ ორი და სამი მღვდელი ავტოკეფალობის წინააღმდეგ? თუ თორმეტ მოციქულში ერთი გამცემელი იქნა აღმოჩნდა რა დიდი საქმეა, რომ ათას რვაას მღვდლებში ორი დიდ სამი გამცემელი და გონებით ჩლუნგი აღმოსჩნდეს? ზოგერთმა მღვდელობა სულ დატოვა, მაგრამ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ქართველ მღვდლებს ყველას გაკრეპვა სურდეს!..

\* \* სახელმწიფო სათათბიროს წევრმა გლენმა ალაღინმა; რომელიც ინიციატორია სრულიად რუსეთის გლენობის წარმომადგენლობისა, შემდეგი განუცხადა გაზეთის თანაშრომელს: „ჩვენი ორგანიზაცია კადეტების მარცხნივა დავს; იგი იბრძოლებს კადეტებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული! თუ იგინი პირ დაპირ ხალხთან დაგვაქერინებენ საქმეს. გლენთა პარტიას ზურგს უმაგრებს მილიონი რუსის ხალხი“ — ო. სატახტო ქალაქის ერთ-ერთ გაზეთის რედაქციას მოუვიდა რემინგტონზე დასტამბული წერილი, რომელსაც ხელს აწერს მუშათა სამსჯავროს წევრი; ამ წერილში ნათქვამია, გაპარნი მოკლული იქნა დალატისა და გამცემლობისათვისო. გასამართლების ადვოკატი არაა აღნიშნული; მკვლელობა აღბად ფინლიანდიაში ჩაიდინეს. წერილში იწერებინან, გაპარნს დანაშაულის ჩადენის დროს მოასწრესო; მკვლელებს დითხან ეწინააღმდეგე თურმე. დაბოლოს აღაქმის იძლევიან, რომ ჩქარა



დაწერილებით გაცნობებთ ყველაფერს გაპონზედაო.

\* \* რა მიზეზით ზრდის თავის შვილებს სამღვდლოება საერო და არა სასულიერო სასწავლებლებში? ამის მიზეზი ისაა, რომ სემინარიები საზოგადოდ დაცვა,—სასულიერო სასწავლებლებში გამეფებულია მეტად ვიწრო და იძულებითი განათლება, —სემენარია კარ-ჩაკეტილი სასწავლებელია,—მეცნიერების სწავლება მასში სიცოცხლეს მოკლებულია,—სემინარიებს გზა შეკრული აქვს და სხვა... პროტასოვის და ტოლსტოის სახელები სამუდამოდ ზიზღის ღირსნი იქნებიან: მათ დამამახინჯეს ჩვენი სკოლა და მიიყვანეს სატირალს მდგომარეობამდის. საკვირველია,—რომ ამ სკოლებში კიდევ სწავლობენ!.. (სას. მოამბე).

\* \* 8 თებერვალს უწმ. სინოდმა დააგინა შემოდებულ იქმნას ზოგიერთნი ცვლილებანი სასულიერო სემინარიებში ღრეობითის ხასიათისა, სანამ სემენარიის წესდებულება გადისნიჯებოდას:

„უნდა გაფართოვებულ იქმნას სამოსწავლო წიგნთ-საკავი. შეიძლება წიგნების მოპოება მოწავეთა თხოვნითაც... კეთილ-საიმედო მოწაფეებს შეიძლება მიენდოთ წიგნთ-საკავის უახლოესი გამოება. ნებ-დართულია სემენარიებში სამკითხველების გახსნა და ამ სამკითხველოთათვის ჟურნალ-გაზეთების გამოწერა. ნება დართულია საერო წოდების შკოლათა მიღება 10% ზევით (აქამდის მათი მიღება 10<sup>3</sup>/<sub>10</sub> იყო შეზღუდული). დიდმარხვის პირველს კვირაში მოწაფეებს შეუძლიათ მშობელთა და ნათესავთა ადგილ-სამყოფელშიც ეზიარონ და სხვა“...

სიანს, რომ განმანათავისუფლებელს მოძრაობას უწმიდესი სინოდიც დაუფიქრებია სასულიერო სასწავლებლების და სემინარიათა სეველების შესახებ. მართლაც, რომ ეს სასწავლებლები სამწესობრო მდგომარეობაში იყვნენ. წარსული დროის ნაძირანი გონების უზმავდა მათს მოწაფეებს. მათთვის გზა ხსნილი არ იყო. პედაგოგიური საღი მოთხოვნილობანი უკუდებულ იყვნენ ამ სასწავლებლებში. აღზრდის განსაკუთრებული ძველის ხასიათის სისტემა აჩვევდა მოწაფეებს «გარეგანს კეთილ-მსახურებას», მაგრამ გული კი მათი შორს იყო ღვთისაგან. სწავლების და აღზრდის სისტემა მიზანს ვერ აღწევდა. სემენარიელთა მრავალ-სიტყვაობა მათის გონების საღაროს სიღარიბის უტყუარი მჩვენებელი იყო.

მოწაფეები შორს იდგნენ სოფლიდან, ხალხიდან, არ იცნობდნენ ცხოვრებას და მის თასეგვარ მოთხოვნილებას... საუკეთესო წიგნთა კითხვა მათთვის აკრძალული ხილი იყო... ჟურნალ-გაზეთების კითხვისთვის სასტიკად სჯიდნენ... ასე იყო ყველგან და ასე იყო ჩვენებურს სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში. დღეს სიანს, ამ სასწავლებელ-სემინარიებს სხვა ბედი მოელით... მათზედაც გადმოუხედია უფალს მოწყალი თვალით.

\* \* რიგის მღვდელთ-მთავარმა ავათანგელმა დიდად გაითქვა სახელი ბალტიის ზღვის პირს მდებარე ქვეყანაში რევოლიუციის ჩაქრობის დროს. სამხედრო პირთა წინაშე იმან აღძრა შუამდგომლობა, რათა დამნაშავეებს ლმობიერად მოპყრობოდნენ და ტყუილ-უბრალოდ არავინ დაესაჯათ. მისმა შუამდგომლობამ შესაფერი ნაყოფი მოიტანა. ხსენებულ ქვეყნის მცხოვრებნი, გვარ-ტომობის და სარწმუნოების განურჩევლად, მადლობას უძღვნიან ყოვლიაღირსს მღვდელმთავარს.

ქვემოლ მოყვანილი მისი წინადადება კონსისტორიისადმი ანტიციებს ამ მღვდელმთავრის მაღალსულის-კვეთებას:

„ბალტიის მხარეს ამ უკანასკნელს დროს მომხდარ სარევოლიუციო მოძრაობის უბედურს დღებში, მართლმადიდებელ ესტათა და ლატიშთა და აგრეთვე რუსთა ოჯახებს დაეკარგათ მრჩეველნი და გადატაკდნენ; ძლიერ ბევრია უღედ-მამო ობლები; სიყვარულისა დაქრისტიანობრივის ქველმოქმედების გრძნობის და აგრეთვე სამწყემსო მთავალეობის ჩაგონებით, გვესურს რა ხელი გავუშართათ ამ უბედურებს, საჭიროდ ვთვლო; ჩემისავე თავმჯდომარეობით დეჰაროს კომიტეტი სასულიერო და საერო პირთაგან მათდა შესაწევრად“ (მ. შ.).

\* \* სმოლენსკ საეპ. უწყ. „ახალდებს თავის უქმყოფილებას სასულიერო პირთა ზოგიერთი მოთხოვნილებათა წინააღმდეგ, სახელდობრ: „სავალდებულო არ იყვეს მღვდლის ხარისხის მიღების მსურველთათვის კურთხევამდის ცოლის შერთვა,—არ აეკრძალოს ქვრივ მღვდლებს მეორედ დაქორწინება,—არ იყოს სავალდებულო მუდამ ანაფორის და გძელი თმის ტარება“. სამღვდლო პირის მეორედ დაქორწინების უკანონობა და შეუსაბამობა მტკიცდება მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა დადგენილებათა კანონების ძალით. რიცა შესახებ



საერო ტანისამოსის ტარებას და თმების გაკრეპას, სამღვდლოებამ ის უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ ამ გარემოებამ არ იქონიოს მავნე გავლენა მართლმადიდებელ ხალხზე.

სწორედ ასეთის აზრისა არიან ამავე საკითხთა შესახებ ქართველი მორწმუნეებიც, რომელნიც განუდგებიან მღვდელს, ხორციელ ვნებათა და სოფლის სიამოვნებათა მოტრფიალეს. სამღვდლოებას დიდი საფრთხილე მართებს, რომ თვისი, უემისოდაც დღეს დატყეული ავტორიტეტი, უფრო არ შელახოს.

\* \* \* ამ ახლო ხანებში სფეროანგების ორმა მკურნალმა გამოისცა წიგნი რევოლიუციონურ ნეგროზების შესახებ, რომელშიც ამტკიცებენ, რომ რევოლიუციონური იდეა არის ერთგვარი მოარულის მსგავსი ავადმყოფობა ნერვების მოშლის ნივთიერებაზე. მკურნალი პუტრი უფრო მეტის თქმის აპირებს: მას სურს დამტკიცოს, რომ ანარხიზმი ანუ; უკეთეს ღტოვილება ანარხიზმისადმი, არის ერთგვარი სულიერი სნეულება, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა არა გილოტინები (თავის მოსაქრელი მანქანა), სახრბოვლები, ტყვიები და ცხენები, არამედ მეცნიერულად მოწყობილი საკუთრივ „ანარხისტთა საავადმყოფოები“. სოფ. უტეკაში, ბუზულკის მაზ., სკოლის შენობაში, ადგილობრივი მღვდლის ორმა შვილმა დაიწყეს კრებების მართვა, რომლებზედაც იწვევდნენ ხოლმე თავიანთ მამას. იგინი ხალხში პირდაპირ კიცხავდნენ მამას, რადგანც გულგრილად უყურებდა ტანჯული ხალხის მდგომარეობას. იგინი უხსნიდენ მამას თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ამ გაქირავებულ დროს კერძოდ ის და საზოგადოდ მთელი სამღვდლოება. მამა არ ეთანხმებოდა შვილების აზრს. შვილები სამი დღე ეცადნენ მიემხროთ თავიანთყენ მამა, მაგრამ ამაოდ. (ს. მ.).

\* \* \* 26 აპრილს, სამღვდლოებამ გადასწყვიტა ავტოკეფალიის შესახებ იმავე გადაწყვეტულებას დაადგეს, რომელიც დეკემბერში მიიღო, ე. ი. თუნებით არ დაუბრუნებს სინოდი საქართველოს ავტოკეფალიას, თავისით შესწყვიტოს კავშირი და აირჩიოს კათალიკოსი,

\* \* \* 27 აპრილს სახელმწიფოს სათათბიროს გახსნის დროს სიონის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა პარაკლისი. ამავე დღეს სწავლა შეწყდა. პოლიციმესტერმა განკარგულება მოახდინა,

რომ მოქალაქეთ ნება ეძლევათ სახლები გააჩირადონ და ბაირალეები გამოჰვინონ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ვისაც სურს ის მოვიდეს სამსახურშიო.

\* \* \* კავკასიის ნამესტნიკს, როგორც ვიცით, ავტოკეფალიის საკითხის შესახებ თავისი აზრი მოსთხოვეს ეხლა, როგორც გავიგეთ, ნამესტნიკს ცალკე კომისია შეუდგენია, რომელმაც ეს საკითხი უნდა განიხილოს. კომისიაში არიან როგორც სამღვდლო, ისე საერო პირნი. საქმე იმაშია თუ ვინ იქნება ამ კომისიაში? მტრები ავტოკეფალიის თუ მოყვრები?

\* \* \* ფინანსთა მინისტრის მოწერილობის ძალით, ყველა სამაზრო ხაზინადრებს ბრძანება მუეილათ, გააძლიერონ ხაზინის დაცვის საქმე და ჯარის გაცემა მოსთხოვონ ადგილობრივ პოლიციის უფროსებს.

\* \* \* ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი კანცხალება, რომელსაც თხოვნის თაანახმად ებეჭდათ „გაზეთ“ „ლაშარის“ მე-7 №-ში ახალ ამბად დაბეჭდილია ცნობა, რომ 21 აპრილს მცხვოზის ფერისცვალების მონასტერში ეპისკოპოსს თავს დასცემია ფედერალისტთა ჯგუფის (?) სამი კაცი წარუდგენიათ ფედერალისტების კომიტეტს ბეჭდით ჩეკი და მოუთხოვიათ 100 მანათი, წინააღმდეგ შემთხვევაში სისკვლით დაშურებინანო. ს. ფედერალისტებს ცენტრალური კომიტეტი კიდევ აცხადებს, რომ ამ გვარის საშვადლებით ფულს არ აგროვებს და არავითარი ჩეკი არავითარი ჩეკი თავის ბეჭდით არავისთვის არ მიუცია“. („შრომა“)

\* \* \* უმაღლესათ ებრძანა ფირშს გახსნას სახელმწიფო სათათბირო. დაითხოვეს სამსახურიდან მინისტრები: შიბოვი ტოლსტოი და აკიმოვი, ობერპროკ. ობოლენსკი, მიწათ-მოქმედებისა და მიწათ მოწყობის მთავარ-მართველი ნიკოლსკი და სახელმწიფო კანტროლერი ფილოსოფოსოვი. დაინიშნენ საერო განათლების მინისტრად ფონ-კაულფანი, იუსტიციისად—შეგლოვიტაი სახელმწიფო კანტროლიორად შვანებახი, მიწათ-მოწყობისა და მიწათ მოქმედებისა მთავარ-მართველად სტოშინსკი, გარეშე საქმეთა მინისტრის ანხანაგად თ. ობოლენსკი და სახელმწიფო კანტროლიორის სეკრეტრის ანხანაგად—ხარიტონოვი.

\* \* \* სახელობითი უმაღლესი ბრძანება უმართ-





ებელეს სენატის სახელზედ ძირთად სახელმწიფო კანონების დამტკიცების შესახებ: „17 ოკტომბრის გამოცემულ მანიფესტში ჩვენ ვაუწყეთ, რომ საკანონმდებლო ძალა-უფლობა (ВЛАСТЬ) განხორციელებულ იქნება ხალხის წარმომადგენლებთან შეერთებით და მცხოვრებთ მიენიჭება მოქალაქობრივ თავისუფლების შეურყეველი საფუძველი-თქო. ამის შემდეგ ჩვენ აღვნიშნეთ ის გზა, რომლითაც ივლის თვითმყრობელობა სრულიად რუსეთის მოხარკებისა კანონმდებლობის საქმეში და 1906 წ. 20 თებერვალს გამოცემულ მანიფესტი ჩვენ განვმარტეთ ხალხის წარმომადგენლების მოწილეობის წეს-რიგი სახელმწიფო საქმეში და გამოვეციეთ დროებითი პირობები მოქალაქობრივ თავისუფლებების განსახორციელებლად. ამასთანავე განახლებულ სახელმწიფოს წეს-წყობილობის საძირკველის გასამაგრებლად, ჩვენ ვბრძანეთ ერთად მოეყაროს თავი იმ დადგენილებებს, რომელთაც ძირითად სახელმწიფო კანონების მნიშვნელობა აქვთ და რომელთა ცხოვრებაში მოხმარება (ПОДЛЕЖАЩИХ ПРИМЕНЕНИЮ) მხოლოდ ჩვენი საქმეა და შესვებულ იქნან იგინი ისე, რომ სისრულეთ ექნას აღნიშნული ჩემდამი კუთვნილი უზენაესი მართვა-გამგებობა. ჩვენის ბრძანებით. ამ საფუძველზე დამყარებულ სახელმწიფოს ძირთად კანონების დამტკიცება საკეთილად დაიწახეთ და ვგზავნით უმართებელეს სენატში, რომელმაც უნდა გამოაქვეყნოს იგინი, როგორც რიგი და წესია. ნამდვილზე საკუთრივ ხელ-მოწერილია „ნიკოლოზი“ ცარსკოე სელო 1906 წ. 23 აპრილი. ამ ბრძანებასთან ერთად „დაკანონებათა კრებულის“ მე-98-ე ნომერში გამოაქვეყნეს ძირთადი კანონები, რომელთაც 82 მუხ. შეადგენს, და რომელიც ნ თავად არის დაყოფილი. თავი 1. შეეხება უზენაეს თვითმყრობელ ძალა-უფლობის შინაარსს; 2. რუსეთის ქვეშევრდომების უფლებებსა და ვალდებულებებს; 3. სახელმწიფო კანონებს; 4. სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს და მათს მოქმედებას; 5. მინისტრთა საბჭოს თვითონ მინისტრებსა და ცალკე ნაწილების მთავარ მმართველს. პირველი მუხლი ამბობს: რუსეთის სახელმწიფო ერთი მთლიანი და განუყოფელია: მესარე მუხ: დიდი სამთავრო ფინლიანდია განუყოფელი ნაწილია რუსეთის სახელმწიფოსი და თავის შინაურ საქმეებს თვითონ განაგებს განსაკუ-

თრებულ კანონმდებლობის ძალით; მუხ. მე-3-ე: რუსული ენა არის ენა საერთო სახელმწიფო საე-ლდებულოა ჯარისა, ფლოტისა, ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში და განი-მარტება განსაკუთრებული კანონებით; მუხ. მე-4-ე: სრულიად რუსეთის იმპერატორს ეკუთვნის უზენა-ესი. თვითაყრობელი ძალა-უფლება. მას უნდა მორჩილებუე არა მარტო შიშითა, არამედ სინდისს ქვე-თვითონ ღმერთი ბრძანებს ამას; მუხ. მე-7-ე: ხელმწიფე იმპერატორი ანხორციელებს კანონებს სახელმწიფო საბჭოსა და სხელმწიფო სათათბიროსთან ერთად; მუხ. მე-8-ე: ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის თაოსნობა კანონმდებლობის ყველა საქმეში. მხოლოდ მისი ნებით და სურვილით შეიძლება სახელ-საბჭოთა და სახელმწიფო სათათბირომ განიხილონ სახელმწიფოს ძირთადი კანონები.

\* \* 24 -პრილი. კადეტებს კრება ჰქონდათ თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებაში ანენსკის თავმჯდომარეობით. როცა ვოლოგოზოვის მოხსენების კითხვას შეუდგნენ, უცბად დარბაზში გაჩნდნო პარკული გოროდოვების რაზმით და მოითხოვა კრების დაშლა.

\* \* უმაღლესი გამოსვლის ცერამონია ამნაირი იქნება: 27 აპრილს ორივე სატახტო ქალაქების ეკლესიებებსა და სობოროებში დილის 10 საათზე პარაკლის გადახდიან. სასამირო სასახლის გეორგიევსკი სატახტო (Тронный) დარბაზში მარჯვნივ აღგილებს დაიქერს სახელმწიფო საბჭო, მარცხვივ სათათბირო. საკონცერტო დარბაზში გადაიტანებენ საიმპერატორო რეგალიებს—გვირგვინი, კვერთხი, სახელმწიფო ხმალი, დროშა და სახელმწიფო ბეჭედი. უმაღლესი გამოსვლაზე დასასწრებლათ სასახლეში მოწვეულ არიან უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელნი, ელჩნი, და სხვანი. როცა ხელმწიფეს მოახსენებენ, საბჭო და სათათბირო შეკრებულნი არიან გეორგიევსკის დარბაზში, მაშინ მოხდება უმაღლესი გამოსვლა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ორივე დედოფალი და ყველა დიდი მთავრები. ხელმწიფესა და დედოფლებს შეხვდებიან პეტერბურგისი და ლადოგის მიტროპოლიტები, სინოდის წევრნი და სასახლის სამდვდლოემა. ჯერ მათი უდიდებულესბანი ჯვარს უმთხვევიან, შემდეგ მათ მიტროპოლიტი წ. წყალს ასხურ-





# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწამუნებასა და კეთილზნეობაზე.

## ნათლისღება

ნათლისღებითა,  
ღვთისა ნებითა,  
აღამის ცოდვა, მისი სენი  
აღარ არს ჩვენნი.

ებს და შემდეგ დიწყება საღვთისწაულო პარაკლისის; პარაკლისის დროს ორივე დედოფალი ხელმწიფის უკან იდგომბიან და გათავების შემდეგ, დასხდებიან მათთვის დამზადებულ ადგილებზე ტახტის მარჯვენა მხარეს. პარაკლისის შემდეგ სინოდის წევრნი და მათი უდიდებულესობის მოძღვარი დარჩებიან გეორგიევსკი დარბაზში და მათთვის დამზადებულ ადგილებზე დასხდებიან ტახტის ახლოს, დაბალი სამღვდლოება კი სასახლის სობოროში ბრუნდება. დღი მთავრები ტახტისაქენ გაემართებიან და დაიქერენ ადგილს სამი საფესურით დაბლა მისაგან—მარჯვენე. სახლის მინისტრი, მის უდიდებულობასთან მორიგე გენ. ადიუტანტი, გენ.-მაიორი და ფლოვულ-ადიუტანტი დადგებიან ტახტის მარცხენა მხარს—ფეხბითან. ამის შემდეგ ხელმწიფე ავა ტახტზე, წარმოთქვამს სიტყვას და შემდეგ შინ წაბრძანებას ინებებს.

\* \* ჩვენ მივიღეთ შემდეგი რეზოლიუცია ჟურნალში დასაბეჭდათ:

„ზორაპნის საბლაღობინო მხარის სამღვდლოებამ, მოისმინა რა Церковий вѣстник—ში დაბეჭდილი წერილი, რომლის ავტორი იწერება, რომ ვითომც საქართველოს სამღვდლოებას არ სურდეს თავის ეკლესიის ავტოკეფლობა, ერთხნად დაადგინა: ეცნობოს ხსენებულ ჟურნალის რედაქტორს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფლობის აღდგინება გულითადი სურვილია მთელი ქართველ სამღვდლოებისა, როგორც ეს ცხადთ სჩანს სამღვდლოებისაგან წარდგენილ პეტიციებში. სამღვდლოება ზიზღს უცხადებს წერილის ავტორს, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიის მოალატეს და მტერს.“

„ასი წლის მწარე გამოცდილებამ ცხადთ დაამტკიცა, რომ არსებულმა ბიუროკრატულმა ეკლესიის და სამღვდლოების მართვაგამეობამ დაასუსტა სასწამუნება და ზნეობა, დასცა მართლ—მსაჯულება, გაახშირა სულიწმიდის მადლის გასყიდვა, გაავრცელა ქრთამიანობა, ღ ცარცვა გლვეჯა დაწესებულებათა შორის მოსამსახურე პირთაგან (260,000 მანეთი დაიკარგა სინოდის კანტორაში). ერთად-ერთ საშუალებად სამღვდლოებას მიაჩნია მოციქულებრივი, ავტოკეფალური, მართვა გამეგობის აღდგინება საქართველოში, რომელიც იხსნის საქართველოს ეკლესიას და სამღვდლოებას დამბობისაგან.“

აღამიანი იბადება ქვეყანაზე წინაპარ აღამის ცოდვაში. ამ ცოდვისთვის კაცი დაშორებულია ღვთისაგან, მოკლებულია ნეტარებას, იმიტომ იგი სულიერად მკვდარია. აი ეს ცოდვა ებატევა კაცსა ნათლისღების საიდუმლოში, რომელიც სრულდება წმინდა სამების სახელითა: მამისა, ძისა და სულისა წმინდისა. ნათლისღებაში კაცი, ქრისტეს მადლითა, მის გულისთვის, ეშვილება მამა ღმერთსა, ეს შეილება ანთივის უფლებს კაცსა ეშმაკის უფლებისგან და ცოდვის მოსვენისა. იგი გამოიყვანს კაცსა ეშმაკის სიბნელისგან და შეიყვანს მას ღვთის ნათელში, —კაცი ნათლდება, შეიქნება უმანკო. მას შეუძლიან სულიერად იცხოვროს, შეუძლიან დადგეს კეთილმსახურების ნიადაგზე, და დაიმკიდროს საუკუნო ნეტარება. ნათლდებული აღამიანი იწოდება ქრისტიანედ, ქრისტეს მორწმუნედ. ეს წოდება არის მაღალი და სასურველი: ქრისტიანეს გონება განათლებულია ქეშმარიტებითა—მას რწამს ქეშმარიტ ღმერთი და თვისი უყვადევა; გული მისი აღესებულია იმ სიყვარულითა, რომელიც გამოუცხადა მას ღმერთმა—მაცხოვარმა. ეს სიყვარული აყენებს ქრისტიანეს იმ კეთილ გზაზე, რომელიც არის ღვთისთვის სასიამოვნო და კაცისთვის სასარგებლო. ინათლებიან ყრმანიცა და ასაკოვანიცა. ასაკოვანს მიეტევა ის ცოდვანიცა, რომელნიც უქმნია მას ნათლისღებამდინ. ყრმანი ინათლებიან, როგორც შეიღნი მორწმუნეთა მშობელთა, მათის და მიმრქ-



მელთა თავდებობითა.—მიმრქმელნიც და მშობელნიც თვით უნდა იყვნენ კეთილნი ქრისტიანენი, რომ შვილნიც აღზარდონ ქრისტიანულ კეთილმსახურებაში, რომელიც არის საფუძველი ქვეყნიერი მუხღრობებისა და ზეციერისა. ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ქრისტიანეთა—მშობელთა და შვილთაცა.

### მირონცხებმა.

მირონცხებითა,  
ქრისტეს ნებითა,  
ძალი ბრძოლისა,  
კეთილ შრომისა  
მოგვენიჭებო,  
მოგვეფინებო.

კაცი ხორციელის შობით არის შვილი დაცემული ბუნებისა და სცადავს. ნათლისღებაში იგი იშვება სულიერად და შეიქმნება ღვთის მიმადლებულ შვილად. ეს შვილებმა ვალდებულ ჰყოფს მას იცხოვროს წმინდად. მაგრამ კაცო ისე სუსტია, რომ საკუთარის ძალით იგი ვერ მოერგევა ცოდვასა. ამიტომ მირონცხების საიდუმლოში მას ეძლევა სულიერი ძალა წმინდის ცხოვრებისთვის. ნათელდებულს მირონს სცხებენ: შუბლზე, მკერდზე, თვალზე, ყურებზე, პირზე, ნესტოებზე, ხელზე და ფეხებზე. ამით ქრისტიანეს ეძლევა ღვთის შემწეობა, რომ მან იცხოვროს ქრისტიანულად—წმინდად. ქეშმარიტი ქრისტიანე სწორად ასეცა სცხოვრებს. გონებისთვის უმაღლესს საზრდოს ქრისტიანე პოულობს ქრისტეს სწავლაში, რადგანაც იგი არის ნამდვილად ზეციერი და განმაცოცხლებელი კაცის ბუნებისა. მის გულს უყვარს ღმერთი და მოყვასი. მისი მხედველობა სცნობს ბუნების შემოქმედსა. მისი სმენა ტყეება ღვთის სიტყვით, როგორც ზეციერი ხმითა. მისი გემოვნება განარჩევს კეთილის სიტკობასა და ბოროტის სიმწარესა. სუნდებობა კეთილისა ახარებს, ხოლო სიმყარე ბოროტისა აწუხებს მას. ხელთა თვისთა იგი აღაპყრობს ზეცად შემწეობისთვის, ხოლო ფერხთა მიმართავს კეთილზე. ასეთთა ცხოვრება მიმადლებული შვილისა და ასეთიც უნდა იყვეს.—ღმერთი არ ავიწროებს კაცის თავისუფლებასა, რადგანაც ძალდატანებულს რასმეს ფასი და ღირსება არა აქვს. ამიტომ ღვთის მადლი მოქმედებს კაცში მაშინ, როდესაც მას თვით თავისუფლად და შეგნებით სურს ღვთის შემწეობა და მოუწოდს მას სარწმუნოებითა და სიყვარულითა.

### ზიარება.

ქრისტეს ხორცისა,  
მისი სისხლისა,  
მიღებთ—  
ზიარებითა  
წმინდა ვიქნებით:  
მას უერთდებით,  
ვით ცხოვრებისა,  
ნეტარებისა,  
პირველ—წყაროსა,  
სატრფიალოსა.

ის ღვთის-მსახურება, როდესაც აღსრულდება ზიარების საიდუმლო, ეკლესიურ ენაზე იწოდება ლიტურგიად, ანუ საზოგადო ლოცვად. ამ ღვთის მსახურებაში ყოველთვის ცხადდება დიდი სასწაული ღვთის ყოვლად შემძლებლობისა და მის სახიერებისა. აქ პური და ღვინო შეიცვლებიან ქრისტე—მაცხოვრის ხორცად და სისხლად, ნამდვილ იმ ხორცად, რომელიც ჯვარცმულ იყო, და ნამდვილ იმ სისხლად, რომელიც დათხეულ იყო ჯვარზედა აღამიანთ ცოდვათთვის. ამ ხორცსა და ამ სისხლსა მიიღებს ქრისტიანე მოსატყვევებლად ცოდვათა, სულითა და სხეულთა განსაწმინდელად. ქრისტე მთლად თვის, ღმერთკაცობრივი ბუნებითა უერთდება კაცის ბუნებასა; ეს ბუნება მიიღებს ღვთაებრივ ცხოვრების თესლსა. ეს თესლი იმაგრებს ქრისტიანეს ხორციელ და სულიერ ძალასა, და არის საფუძველი იმ შინა მისი აღდგომისა და ნეტარი უკვდავებისა. ამ მიზნით ღმერთ-კაცი უერთდება ცოდვილ კაცსა. ეს ისე შესაძლებელია ღვთისგან, როგორც, ღვთისავე ძალით, აღამიანის სული, ღვთის სახე, შეერთებული ნივთიერ სხეულთან. ქეშმარიტად დიდი საყვარელი და სასურველია ქრისტიანული სარწმუნოება, ვითარცა უზუნაესი სიმაართე, რომელიც სრულიად ეთანხმება აღამიანის უმაღლეს თვითშეგნებასა, და რომელიც ასე აცხოველებს მის ბუნებასა.—რაც შეეხება მას, როგორ მოვლენა ყოველი ქრისტიანე, რომ სარწმუნოებით, სიყვარულით და სასოებით ეტრფოდეს ამ წმინდას და დიდ საიდუმლოს, ეს მან თვით, როგორც გონიერმა არსებამა, და მიმადლებულმა ღვთის შვილმა, უნდა შეიგნოს.

ქრისტე ნათელი,  
სულითა მხსნელი  
შენი მადლითა,  
შენი ძალითა,  
კაცი ცოდვილი



და დაეარდნო  
კურნებულთა,  
ცხოვნებულთა:  
დიდება შენდა,  
მადლობა შენდა.

**სინანული.**

სინანულითა,—  
მოძღვრის პირითა,  
თვით ქრისტესაგან  
ჩვენ ცოდვთაგან  
მივიღებთ ხსნასა,  
გამართლებასა,

ქრისტიანე, თუმცა განთავისიფლებულია წინა-  
პართ ცოდვისაგან და არის ახალი კაცი მადლისა,  
მაგრამ, ვიდრემდის იგი იმყოფება ქვეყანაზე, მას  
აქვს მიდრეკილება ცოდვასკენ. ქრისტიანეს ბუნე-  
ბაში სწარმოებს ბრძოლა: კეთილი და ბოროტი  
ებრძვიან ერთმანეთსა. ქრისტიანე, როგორც მიმი-  
ღლებული ღვთის შვილი, მოვალეა ებრძოლოს,  
რომ არა სცოდნას. მაგრამ ბოროტი ხშირად ერევა  
კეთილსა—კაცი სცოდნავს. ამგვარად ყოველი ქრის-  
ტიანე ამ ქვეყნიერ ცხოვრებაში, მეტად ანუ ნაკლებ,  
არის მონა ცოდვისა,—იგი როგორც პირად ცოდ-  
ვილი, ვერ დაიმკვიდრებს ნეტარ უკვდავებასა, თუ  
არ გაიწმინდება ცოდვთაგან. აქედან ჩნანს, როგორ  
სახიერია ქრისტე-მაცხოვარი, რომელმანც დააწესა  
თვის ეკლესიაში, სხვათა შორის, სინანულის საი-  
ღუმლოცა—ცოდვთა მიტევება.—ფრიად ცხადია,  
როგორ უყვარს მას საწყალი სული კაცის. ნამდ-  
ვილად აქ არის ქვემარტივი დიდება ღვთისა და  
ბედნიერება კაცისა. ქრისტიანე, როგორც ცოდვილი,  
სულიერად სნეულია: მისთვის საჭიროა განკურნება.  
მან ღრმად უნდა შეიგნოს ესა და სინანულით, შე-  
მუსრული გულით შევიდეს საიდუმლო სინანულის  
სამკურნალოში. აქ მოძღვარი, რომელსაც მინიჭე-  
ბული აქვს უფლება ცოდვთა მიტევებისა, არის  
წარმომადგინებელი თვით ქრისტესი, თვით იგი,  
მნძღვრის საშუალობითა, მიუტევებს ცოდვთა აღმ-  
სარებელს ქრისტიანესა. ამ დროს ქრისტიანეს უნდა  
ახსოვდეს მხოლოდ ისა, რომ იგი არის ცოდვილი  
და ყოველი ცოდვა გამოუცხადოს მოძღვარსა გულ-  
რწმუნებით, დაუშლავად, დამალული ცოდვა არ  
ევატივება ქრისტიანესა, ხოლო ყოველი ცოდვა,

დიდი თუ მცირე, უკე თუ გამოცხადებული იქნება  
აღსარებაში და მოძღვრისგან შენდობილი, ევატი-  
ვება მას, ღვთის წყალობითა. ამიტომ არც სირცხ-  
ვილმა, არც შიშმა, არც ხარისხმა, არც მდგომარე-  
ობამ არ უნდა აძალადოს ქრისტიანე, რომ დამალოს,  
ცოდვანი. აქ უნდა იყვის სრული გულწრფელობის  
ერთი ზრუნვა, რომ კაცი განაწმინდოს ყოველთა  
ცოდვთაგან. ამ საქმეში მოძღვრის ღირსებას ანუ  
ნაკულუფევანებას მნიშვნელობა არა აქვთ: ცოდვანი  
მოეტევებიან ქრისტიანესა არა მოძღვრის სიწმინდის  
გულისთვის, არამედ ღვთის მოწყალებითა. ქრის-  
ტიანე უკანასკნელ სულის დაღვევამდინ ნანობდეს,  
სწუხდეს თვის ცოდვთათვის, უნდა ებრძოდეს ბო-  
როტიდა და სასოვდეს ღვთის მოწყალებაზე. იგი  
ისე ეძიებს, რომ გრისტიანე, მორწმუნე, მებრძოლი,  
უეჭველად სცხონდება. მხოლოდ უღმთო, რომელ-  
საც არა რწამს მაღალი ღირსება ადამიანის ბუნებისა  
და ღვთისაგან მონიჭებული მაცხოვარება, კეთილ-  
ნებობით იმზადებს საუკუნო სულიერ სიკვდილსა—  
ტანჯვას.

ა. ბალუკა.

**ჩაღვანების პასუხი.**

მდ. კ. ღანჯიას. გარწმუნებთ, რომ გაზეთები გამო-  
გიზავენთ. მოიკითხეთ ფოსტაში.  
უთუოდ ფოსტაში არის დაკარგული  
და თუ ფოსტაში უფარი გითხრან მა-  
ცნობეთ, რომ მის მთავრობასთან  
მივიტყვე საჩივრელად.

მდ. ა. შამ—ს. მე ვგონებ, რომ ჯამაგირები მიი-  
ღეს ყველამ და თქვენც მიიღებდით.  
სხვა-და-სხვა ზარებს. როცა ხელის მოსაწერ ფულს  
გამოგზავნით მაშინ გამოგვგზავნებთ  
გაზეთი. ბლაღოჩინისაგან ჩვენ არა  
მიგვიღია-რა. განა არ შეგეძლოთ  
პირდაპირ გამოგვგზავნათ? რედაქცია  
ხომ სახელმწიფო. სათათბირო არ  
არის?!





# განცხადება.

მნიშვნა ხელის-მოწერა 1906 წლისათვის ორ კვირულ ზამოცემათა ქართულს

XXIII წ. „მწყემს“-ზე XXIII წ.

დ

XXII წ. რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე XXII წ.

ქურნალის ფასი:

12 უთით  $\langle$ მწყემსი $\rangle$  3 მ. 6 თითით  $\langle$ მწყემსი $\rangle$  2 მ.  
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2  
— ,, ორივე გამოცემა 5 — ,, ორივე გამოცემა 3

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ვეირალაში რედაქციაში, თბილისში წყარა-კახეთის გამაერკელეველ საზოგადოების წიგნის მ. ლაზარიაში. ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან ორივე ქურნალისთვის უნდა წარმოადგინოს 3 მან. პირველ იანვარს და 2 მ. პირველ ივლისს. მარტო „მწყემსი“-სთვის: პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. პირველ ივლისს 1 მან. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **ს ა მ მ ა ნ ე თ ა დ.**

რედაქცია იმყოფება დ. ვეირალაში რედაქტორის საკუთარ სახლში.

გარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и журнала „МЦЕНСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შ ნაარსის გამოცემანი, რომელთა კათოლიგი დრო-გამომეგებით ქურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

# საქმანოვილო ქურნალი „ნ ბ კ დ უ ლ ი“

მეფესრუათებით

მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის. თვეში ორჯელ სამა წაგნა: ორა მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდალთათვის

პედაგოგიურ ფურცლის დაბარებით. ქურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლების სუკეთესო მიღეწეწები.

წელიწადი ითვლება 1-ლ იანვრიდან 1-ლ იანვრამდე. **ქურნალის ფასი:**

ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამსამი მან., —ნახევარი წლით ერთად 2 მ. 50 კ. ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., —თვეში 40 კაპ. —ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ.

წაღურ ხელის მამწერთ შეუქდაანთ თვეში თათო მანეთა შემოატანან.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პოსტპეტზე, ზუბალოვის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

წერილები რამეჯეხედაც არ იქნება ადნაშუელი სურეკლი-ჭინარანის მიღების, უსსუეადადა იქნება ჩათვლილი.

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურკიანი.** გამომცემელი **თაბ. პავ. იოსება. თუმაინოვილი.**

## შ ი ნ ა ტ რ ს ი:

**სალიბარატორო განმეოვილება:** საყურადღებოდ საქართველოს სამღვდელოებისა, იმერ. ეპისკ ლეონიდის. —სახელმწიფო სათათბიროს განსსა 27 აპრილს 1906 წ. დეკ. დ. ლამაზიძის. —მწარე ფაქრები, სოფლის ზუცისა. —ძირითად კანონების პროექტი. —რუსეთის პრესსა და საქართველოს აკალეა. —ქურნალ-გაზეთებიდან. —ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავსა ლ დ მცინიარება ძინსტინაოვიკიზ სარწოპ-ნოებასსა და კათილ-ფნომოზაჟი:** ღმრთი მაცხოვარი და განმანათლებელი, ი. ბალუევის. —განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაზიძე,

სტამბა ქურნალის „მეწყემსი“-ს რედაქციის (დეკ. დ. ბ. ლამაზიძის) ყვირლა საკუთარ სახლში.